საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №313

ქ. თბილისი

"25" "03" 2008წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სოფ. ახუთსა და სოფ. ნოღას შორის მდინარე ცივზე ხიდის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №16; 14.03.08 „სოფ. ახუთსა და სოფ. ნოღას შორის მდინარე ცივზე ხიდის მშენებლობა";
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №16; 14.03.08წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დინარა ჩუბინიძის მოხსენებითი ბარათი

ზაალ გამცემლიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს